სახალხო გაზეთი

№ 698 პარასკევი, 14 სექტემბერი 1912 წ. № 698

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, **თვეში** — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ტფილისის ხელის მომწერთ დღევანდელ გაზეთთან ურიგდებათ ქართ. დრამატ. საზოგადოების ფურცლები. (1.1498.1)

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 16 სექტემბერს.

მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინოვი, ნინა ალექსანდრეს ასული და იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, პირველთა საყვარელ და მარადის დაუვიწყარ დედის, ხოლო მესამისა სიდედრის

დარია ივანეს ასულის მოლოდინოვის

სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება ანჩისხატის საკრებულო ტაძარში კვირას, 16-ს ენკენისთვეს. (1—677—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 16 სექტემბერს 1912 წ. სეზონის გასახსნელად ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქ. და 7 სურათად ღ. ერისთავისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, ჩერქეზიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აშდუშელი, ალექაძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია უმორჩილესადა სთხოვს მაყურებელთ ფარდის ახდამდე დასხდნენ თავ-თავის ადგილებზე და მოქმედების დროს დარბაზში აღარ შევიდნენ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „მთის ზღაპარი“, „ევგინე“, „ანტიგონე“, „ციცინათელა“, „ოჯახის ბურჯი“, „სამ დედის შვილი“, „გადაქრილი მუხა“ და სხვ.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. (3.1498.2)

კვირას, 16 სექტემბერს

ახალი კლუბის ბაღში

საზოგადოება **განათლება** მართავს

დიდ სეირნობას ლოტარიით სინემოტოგრაფით და სხვა და სხვა გასართობებით.

დასაწყისი 5 საათზე.

შესასვლელი ფასი დიდებისთვის 25 კ. პატარებისთვის 15 კ. (2—676—2)

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

შაბათს, 15 ენკენისთვეს 1912 წ. სახ. სახლ. არსებულ ქართ. სახ. წარმმართველ წრის მიერ **ქ-ნ ეფ. მესხის და ბ-ნ ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

,,წითელი მანტია'', დრ. 4 მ. ბრიესი, თარ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ა. კახელი, გოდერძი, ეფ. მესხი ს. რომანიშვილი—დგებუაძისა, ბ. ტანელი. ბ.ბ. გ. ანაშვილი, არჩაკუნი, მ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, ალ. იმედაშვილი, ვ. იაშვილი, ალ. მეტრეველი, ალ. ნარი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, ალ. შანშიევი, ნ. პანკვატაძე, მ. ქიაჟურელი.

დასაწყისი სად. 8 საათზე. ადგილების ფასი 5 კ-ან 50 კ-მდე.

რეჟ. ალ. წუწუნავა. მორიგი წევრი გამგეობ. **დ. ბაქრაძე.**

ადმინისტრატორი **გ. აბელოვი.** (2—1499—2)

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

14 სექტემბერს, შუადღ. 12 საათ. **ქ-ნი ბარბარე ხარხეულიძე** წაიკითხავს ქართულად **ლექციას** და **საკუთარ ლექსებს.**

ლექციის საგანი: **,,ცოცხალი გვამი''**. პროგრამა: 1. შესავალი, 2. მოვალეობა თანამედროვე კაცისა, 3. თვისება პროტასოვის პიროვნებისა, 4. თვისება სამუშაო პირთა, 5. პროტასოვი, როგორც შეგნებული მომქმედი დამნაშავე, 6. საყურადღებო მიზეზები თვითმკვლელობისა, 7 ღირებულება სიცოცხლისა, 8. უმთავრესი აზრი პიესის, 9. ლიზა პროტასოვისა, როგორც მსხვერპლი სხვების ინტერესებისა. 10. დასკვნა. **ლექსები.** „სულ მეცინება“, 2. „ადამიანი“, კოლცოვიდან.

ადგილების ფასი 5—50 კ. (2.663 1)

სასტუმრო ,,უნივერსალი''

(ძველად ,,მუხრანის ნომრები'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახეირო ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** (25·1481.6

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას.
4. ყოველგვარ აზრების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას.

მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499.

(25—1496—6) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.**

მიიღება ხელის მოწერა

,,მოლიპულ გზაზე'' ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი**, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში'' და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის'' კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის'' ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების ვაჭარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—20)

მოსკოვი 1 სექტემბერს 1912 წ.

პ. ს. დოროფეევი

მთავარი კანტორა Верхніе торговые ряды № 211 въ Москвѣ.

ცნობა

მ. ხ.

პატივი მაქვს ამით ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ სექტემბრის პირველიდან, ქ. ტფილისში, (შუა ბაზარში, ჩილინდაროვის სახლი, მანთაშევის ქარვასლის პირდაპირ) გავხსენით **მოსკოვის საწყობი განსაკუთრებით ბითუმად სავაჭროდ**, სადაც მუდამ გვექნება აურებელი რჩეული მაუდეული, ტილოს საქონელი, ბრეზენტი, პარუსინა, ტილო, ხალიჩები, იატაკზე საფენი, საზამთრო და საზაფხულო საბნები, სუფრის თეთრეული და სხვა საქონელი, რომელიც გაიყიდება საქარხნო ფასად, როგორიც არსებობს მოსკოვის ბაზარზე; ამასთანავე ყველა ზემოხსენებული საქონელი იშოვება მხოლოდ რუსეთის საუკეთესო ქარხნებისა.

საწყობში კისრულობენ ხელსაყრელ პირობებით აიღონ, ყოველგვარი სანარდო და საიჯარო საქმე სამხედროთა, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა და აგრეთვე საავადმყოფოთა და ლაზარეთისათვის.

სრულის პატივისცემით

პ. ს. დოროფეევი

ნ. ბ. ბითუმად მსყიდველთ სანარდოსა თუ იჯარისათვის, ვთხოვთ მიჰმართონ ასე: ტფილისი. მოსკოვის საწყობი პ. ს. დოროფეევისა, შუა ბაზარი ჩილინდაროვის სახლი. (1.1501.1)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 381)

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს

გ. გ. მეგრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ.-დღ. დილის 9—12 ს. და სღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგ. ბ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. (25.1497.3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606''-ით.

(წლ—1018—76).

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., ხამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] ქალთა ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო. ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ფსიქ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალების ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მახგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,, 6 0 6 '' **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.10)

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **,,მემობრობა'',** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.195).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაძაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—141)

საკანდიტრო და საბულკო გრიგოლ საგანელოვისა

პუშკინის ქუჩაზე

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ აგვისტოს ოცდა-სამიდან საკანდიტროსთან გავხსენით

საყავე,

სადაც შეიძლება მოიკითხოთ ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, ნაყინვი, ცხელ-ცხელი პიროჟკები და მადნეულიანი წყალი. (3—1469—3)

ტფილისის ქართული **ფილარმონიული**

საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ სადგომში, (კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 5 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით.

მასწავლებელთა სია: ფორტეპიანოს კლასში: ქ-ნ მ. ამირეჯიბისა. ნ. კ. ალაშნიკოვისა. ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ე. ვ ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა; სკრიპკის კლასში: მ. ნ. ყარაშვილი და მ. ტ. ვასილიევი; ვიოლონჩელის კლასში: ე. ნ. კოპელნიცკი; კონტრაბასის კლ.: მ. ი. შერბოვი; სიმღერა (solo) ე. ბროჯი. თეორიის კლასებში და ნოტების კითხვა ზ. პ. ფალიაშვილი.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია, დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოვანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში თავისუფალი ხელოვანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

პარაკლისი სწავლის დაწყების წ-ნ 2 სექტემბერს. (10.1429.6)

გაზეთი კახეთში. 16 სექტემბრიდან **ქ. სიღნაღში** გამოვა კ. ი. **ტყავაძის** რედაქტორობით ყოველ-დღიური (ჯერ-ჯერობით მარტო კვირაობით) ქართული გაზეთი

◄ ხმა კახეთისა ►

ფასი გაზეთისა:

	გაზეთის კანტორაში.	სიღნაღში დატარებით.	სოფლის აგენტებთან.	ფოსტით.
წელიწადში —	1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.	1 მ. 40 კ.	2 მ. 20 კ.
1 იანვრამდე	40 „	50 „	50 „	80 „
ერთი თვით	10 „	12 „	12 „	20 „

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება წმინდა-სტეფანის ქუჩ., № 22, სახლი ი. ტყავაძისა.

(3·1466.3) ფოსტით მისამართი: **ქ. სიღნაღი. კ. ი. ტყავაძეს.**

კვირას, 16 ენკენისთვეს, გამოვა ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

კლდე

რედაქცია იმყოფება:

ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კ ლ დ ე“

წლიური ფასი . . . . 5 მან.

ამა 1912 წლ. დამლევამდე . . . . 1 „ და 50 კ.

თვეში . . . . — „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. (5.1495.4)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში, ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩ., № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.

ფოთში—იონა მეუნარგიასთან.

სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.

სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.

სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.

ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.

თელავში—თამარ აბაშიძესთან.

ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.

ბაქოში—ილია ბგლაძესთან.

ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.

ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბლეელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ნაფიც ვექილის თანაშემწე

გიორგი თ. ქურდანია

დაბრუნდა ტფილისს და იღებს სისხლის სამართლის და სხვაგვარ საქმეებს.

მისამართი: ტურგენევის ქუჩა, სახლი № 2. (3.669.3)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—86)

ექიმ ი. მ. ჯაშის კაბინეტი

ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და საღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.8)

ექიმი ქალთ კბილისა **ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.12)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.22)

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—47)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **ხაშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.,** № 44, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. (25—1178—909)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible] საათ. კაჩეთის ქ. № 6

ექიმი ა. ნ. ლიახამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღ. 6—7 ს. [illegible] დილ. 8—9 [illegible] მოსკოვის ქუჩა, № 2, [illegible]

ვინ არის ვლადიმერ მიქელაძე.

არის ხოლმე მომენტები, როდესაც უსათუოდ გაჩუმება სჯობია ლაპარაკს. თავ. ვლ. მიქელაძეს რომ თავის თავზე ლაპარაკი არ დაეწყო და არ გამოექვეყნებინა წიგნაკი, სადაც მისი პირადი ღირსებანია ჩამოთვლილი, იგი უფრო მოგებული იქნებოდა. დღეს კი, წიგნაკის გამოქვეყნების შემდეგ, კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ თავ. ვლადიმერ მიქელაძეს არჩევა დეპუტატად ბოროტება იქნება და თავის მოჭრა მთელი პროგრესიული რუსეთის წინაშე; თავ. ვლ. მიქელაძეს დეპუტატად არჩევა თავის მოჭრა იქნება ქართველებისთვის და მომასწავებელი იმისი, რომ ქართველებს დაჰკარგვიათ უნარი პოლიტიკურ აზროვნებისა. გადაათვალიერეთ მისი წიგნაკი და ამაში დარწმუნდებით.

ხშირად გამიგონია, ვლ. მიქელაძე ჭკვიანი კაციაო. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ჭკვიანმა კაცმა იმდენი ყოვლად უაზრო რამ დასწეროს, რამდენიც 24 გვერდიან წიგნაკშია თავმოყრილი. თავ. ვლ. მიქელაძეს ალბად პოლიტიკისა იმდენი გაგება, რამდენიც მე ჩინური ან-ბანისა, ან კიდევ ამომრჩევლები და ქართველი საზოგადოება მტკნარ სულელებად მიაჩნია. ეს რომ ასე არ იყოს, ადამიანი, რომელსაც დეპუტატობა ჰსურს, ვერ გაჰბედავდა და ასეთის წიგნაკით ვერ წარსდგებოდა საზოგადოების წინაშე. ყური დაუგდეთ თვით ბ-ნ მიქელაძეს. არც ერთს იმის სიტყვას კომენტარიები არ დასჭირდება,—იმდენად გამოქანდაკებულია მთელი მისი ფიზიონომია 24 გვერდიან წიგნაკში.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თავ. ვლ. მიქელაძეს თავი მოაქვს იმით, რომ 1906 წელს საგლეხო ბანკის განყოფილების წევრად ყოფილა დანიშნული, დაუარსებია სამი ათასი სახაზინო სუბსიდიით სოფელ კულაში ნორმალური სკოლა და მინისტრ ერმოლოვისთვის უთქვამს სიტყვა, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ საჭიროა გაღარიბებულ აზნაურობას თავისუფალი მიწები დაურიგონ. მაგრამ ეს კიდევ თავ. ვლ. მიქელაძის მთელს სურათს არ გვაძლევს, და ისიც სცდილობს რაც შეიძლება ძლიერი დამამტკიცებელი საბუთები მოიყვანოს. აი, ეს საბუთიც.

„რაც საქართველოს სამსახური გაუწევია, დავიწყებულია და დავიწყებული იმათ მხრით, ვისაც ეს სამსახური კარგად უნდა ახსოვდეს. საქართველომ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფომ, თუთხმეტი საუკუნე გასტანა. ამ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ერთ ხელში ჯვარი ეპყრა და მეორე ხელში ხრმალი (თუ ხმალი?) ამ რიგად ებრძოდა იგი შუა აზიიდან შემოსეულ ხალხებს: (თუ ერებს?) ჩინგის ყეენის, თემურ-ლენგის თათარ-სელჯუკებს-ოსმალების და სპარსეთის ურდოებმა გრიგალივით მოედო მთელ საქართველოს („ურდოებმა... მოედო“ სადაური ქართველია?). საქართველომ ევროპის და აზიის საზღვარზე საქრისტიანო კულტურის დამცველობა იტვირთა: ის იყო დაუღალავი და დაუძინარი დარაჯი ამ კულტურისა. არც რუსეთს, არც საზოგადოდ სხვა განათლებულ ქვეყნებს უფლება არა აქვთ დაივიწყონ ეგეთი ჩვენი ერის სამსახური. მშვიდობიანობის დროს საქართველო გულ-მოდგინედ სწევდა შინაურ კულტურულ შრომას. მრავალი და დიდებული ტაძრები, რომელნიც საქართველოს არე-მარეზეა გაშენებული დღესაც ქართველების საკვირველ საქმედ აქვთ მეცნიერებს მიჩნეული... თუმცა ერს ათასნაირი ჭრილობა აწუხებდა, მაგრამ მაშინდელი მეზობლების მუდარა მაინც არ ისმინა: ზურგი შეაქცია ოსმალეთსაც და სპარსეთსაც, რომელნიც ეხვეწებოდნენ, ჩვენ შემოგვიერთდითო, გადასწყვიტა-რა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გამოეთხოვოს, საქართველო მიემხრო ერთ მორწმუნე რუსეთს და თავის ნებით შეუერთდა მას. რადგან რუსეთმა საქართველოში ფეხი მაგრად მოიკიდა, რა თქმა უნდა, მთელი კავკასია მის ხელში უნდა ჩავარდნილიყო და ასეც მოხდა. კავკასიაში ფეხ-მომაგრებულმა რუსეთმა მერე მთელი წინა აზია ხელთ იგდო კუშკამდე და გიმალაის ქედამდე. ვერც პეტრე დიდმა, ვერც მისს წინა მოადგილეებმა, ვერც მისმა მემკვიდრეებმა ვერ შესძლეს ეს რუსეთისთვის დიდი საქმე აღესრულებინათ: ამ საქმის შესრულება შესაძლოდ შეიქმნა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველომ ნებაყოფლობით მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და რუსეთს მხარი გაუმაგრა“.

ამ ამონაწერში ნათლად გამოსჭვივის მთელი პოლიტიკური სიბრძნე ბ-ნ ვლ. მიქელაძისა. მერე? განა ასეთი დეპუტატი უნდა საქართველოს?

ამ ამონაწერის შემდეგ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა. იგი მშვენიერად ახასიათებს ძველებურ ტრადიციებზე აღზრდილ თავადიშვილს, რომელსაც პოლიტიკა სანგარიშო „შჩოტკი“ ჰგონია, რომელსაც საითაც უნდა, იქითკენ გადააგდებს. მაგრამ „წიგნაკში“ სხვა რამ შეურია საყურადღებო. ბ-ნ ვლ. მიქელაძის მარტივი პოლიტიკური ფსიხოლოგიით ყველა, ვინც მის მლიქვნელობის პოლიტიკას არ იზიარებს, „ექსპროპრიატორი“ და „ყაჩაღია“. ვეჭვობთ, ამაზე შორს თვით უშესანიშნავესი პურიშკევიჩიც კი წავიდეს. არა ნაკლებ საყურადღებოა ვლ. მიქელაძის შემდეგი სიტყვებიც: „ამ ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის ყველა ხალხებს(!?) ცოტ-ცოტა რამ მაინც ერგო მესამე სათათბიროს მეოხებით; მხოლოდ ჩვენ დავრჩით ყოველ სიკეთეს მოკლებული, ყოვლად უნუგეშოდ. კიდევ როგორმე მოვინელებდით, მაგრამ ის როგორღა მოვინელოთ, რომ მთელი რუსეთი მტრად გადავიკიდეთ?“

ესეც საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ვლ. მიქელაძეს იმდენი გაეგება პოლიტიკის, რამდენიც ძე ჩინური ან-ბანისა. პოლილიტიკურად სრულიად უსუსური უნდა იყოს ადამიანი, რომ ამნაირის თვალით შეხედოს მესამე სათათბიროს მოღვაწეობას და ამით ზურგი უქციოს მთელ რუსეთის პროგრესიულ საზოგადოებას, რუსეთი გადავიმტერეთო, ბრძანებს თავ. ვლ. მიქელაძე. რომელი რუსეთი? პურიშკევიჩისა და მისი ამხანაგებისა? მაშ, იმისთვის მიდიხართ სათათბიროში, რომ პურიშკევიჩს შეურიგდეთ? სწორედ მოგახსენოთ, დიდი გამბედავი კაცი ყოფილხართ, რომ თავის მოჭრისა არა გრცხვენიანთ და ამისთანა უგვანო აზრებს საჯაროდ აცხადებთ. ესეც ერთგვარი გამბედაობაა.

გ. ბარელი.

ქართული პრესა

კიტა აბაშიძის მოწინააღმდეგენი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ როგორმე სახელი გაუტეხონ ერთხელ ათვალისწუნებულ კანდიდატს. ვისაც ცოტაოდენი შეგნება აქვს, ერთბაშად მიჰხვდება, რომ ის პირნი, რომელთაც ტყუილებითა ჰსურთ ლელოს გატანა, ღირსნი არიან იმისა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან განიდევნონ; მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ კიდევ არიან მრავალნი ისეთნი, რომელნიც მართალს ტყუილისაგან ვერ არჩევენ და იჯერებენ ყველაფერს, რასაც საზოგადოების ნაძირალნი ყურში ჩასჩურჩულებენ. აი, რანაირ ამბავს გვატყობინებს ბ-ნი ისიდორე მანიჟაშვილი გაზეთ „კოლხიდა“-ში,

„გაიგეს თუ არა ამ ვაჟ-ბატონებმა, რომ არჩევნებში მათ მოწინააღმდეგე ეყოლებათ, მოხსნეს გუდებს თავი და რაც ცილის წამება და ლანძღვა-გინება მოეგროვებინათ უგაზეთობის დროს, სულ ერთბაშად გადმოანთხიეს... გუშინ სოფლად ვიყავი. სადილის დროს დიასახლისი მეუბნება:—შენ გაგებული გექნება კიტას რომ საქმე უქნიაო“.

— რა მეთქი, ვკითხე.

— რამდენიმე ათასი თუმანი გაუტაცია „სიეზდის“ ფული და საზღვარ-გარედ გაქცეულა. ყველა სოფელში იციან ეს ამბავი და ნუ თუ შენ არ გაგიგია?!“

განმარტება მეტია! ამისთანა ცილის მწამებელთ მხოლოდ ის ეკუთვნის, რომ საზოგადოებამ მით ერთხელ და სამუდამოდ ზურგი აქციოს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სათათბიროს არჩევნების გარშემო.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ექნებათ რუსთა კურიის პროგრესისტ ამომრჩეველთა.

— 16 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, რუსულ კლუბში კრება ექნებათ რუსულ ნაციონალურ პარტიის ამომრჩეველთ.

◆ **ტფილისში ჩამოვიდა** მიწათმოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ფ. ა. ვიტმერი, რომელმაც გუშინ ტფ. საბოტანიკო ბაღი დაათვალიერა.

◆ **სეირნობა** დღეს მუშტაიდში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართება ჟურნალისტთა საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულს თეატრში მოსკოველი ლექტორი ი. ი. ეიხენვალდი ლექციას წაიკითხავს ლ. ტოლსტოის ნაწერების შესახებ. ხვალ დანიშნულია ამავე ლექტორის ლექცია ა. პ. ჩეხოვის შესახებ.

◆ **ვერის საქალაქო ბაღს** გამგეობა ლოლაძეს აძლევს 12 წლის ვადით. ლოლაძემ ქალაქს წელიწადში 900 მან. უნდა აძლიოს. ამას გარდა მოვალეა, ბაღი გაამშვენიეროს.

◆ **ესპერანტო.** საერთაშორისო ენის „ესპერანტოს“ კურსები უკვე გაიხსნა ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში.

◆ დღეს 14 სექტემბერს, ქ-ნი ბ. ხერხეულიძე წაიკითხავს ლექციას ქართულად, ზუბალაშვილების სახალხო სახლში. საგანი ლექციისა: „ცოცხალი გვამი“ ტოლსტოისა. პროგრამა იხილეთ განცხადებაში. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

◆ უკვალოდ დაიკარგა „19 თებერვლის“ ქუჩაზე მცხოვრები ოსანა ისაკის ასული ბაბაიანცი.

◆ 12 სექტემბერს ტფილისში 57 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ **პანაშვიდი.** 15 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, გზათა კავკასიის ოლქის სადგომში გადახდილ იქნება პანაშვიდი ინჟინერ ნ. კ. ორლოვსკის სულის მოსახსენებლად. როგორც მკითხველებმა იციან, ინჟინერი ორლოვსკი ამ ერთის წლის წინად ზელიმხანმა მოჰკლა თერგის ოლქში.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 17 სექტემბერს მოხდება. საბჭოს, სხვათა შორის, ამ დღეს განსახილველი აქვს წესიერ დასვენების სავალდებულო წესების შეცვლისა და გამგეობის მეხუთე წევრის თანამდებობის დაარსების საკითხები. საბჭო ამავ დღეს განიხილავს საჩივარს ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწედ ნამყოფ გ. ზ. ქანანოვისას, რომელიც გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს უჩივის, სამსახურიდან უკანონოდ დამითხოვაო.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** საზოგადოების გამგეობის კრება 17 სექტემბერს მოხდება.

სასწავლებლებში.

◆ **ახალი სასწავლებელი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ქ-ნს ფხაკაძეს, ლანჩხუთში ოთხ-კლასიანი საქალებო პროგიმნაზია გახსნას.

სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესიები** გორსა და სიღნაღს გაემგზავრა.

◆ 11 სექტემბერს სამოსამართლოს მეორე განყოფილებაში გაირჩა საქმე სოფიო ალექსანდრეს ასულის კიკნაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ მეხტი-ხან ალაბეგოვს სახეში სიმჟავე შეასხა დასასახიჩრებლად. სასამართლომ კიკნაძისა დამნაშავედ სცნო და 2 თვით ციხე მიუსაჯა.

სომეხთა ცხოვრება

◆ გამოვიდა ა. ა. სოლოვეიანის ახალი თხზულება „მფრინავი სული“.

◆ სომხის მწერალს **ატრპეტს** დაუწერია ახალი ორიგინალური პიესა.

◆ ურმიაში (სპარსეთი) სომხის ორს მღვდელსა და მათს მრევლს მიუღიათ მართლმადიდებლობა.

ქუთაისი.

◆ **წვრილ მემამულეების არჩევნები.** მოვაგონებთ ამომრჩევლებს, რომ წვრილ მემამულეების რწმუნებულთა არჩევნები დანიშნულია 16 სექტემბერს: ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთში, ყვირილაში, ჩხარში, ზუგდიდში, ონში და ცაგერში. საჭიროა ამომრჩევლებმა თან იქონიონ იმ დღისათვის პიროვნების დამამოწმებელი ქაღალდი. ასეთად გამოდგება: პასპორტი, ან მღვდლის მოწმობა ან და მამასახლისისა. ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა აგრეთვე ამომრჩევლებმა თან იქონიონ ე. წ. „ოკლადნოი ლისტები“. ვისაც პასპორტი არ აქვს და რაიმე მოწმობა უნდა აიღონ მათ:

Предъявитель сего житель селенія . . . . . . Кутаисской губ. . . . . . . уѣзда, ... участка, (წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი), что своею подписью и приложеніемъ казенной (или церковной) печати удостовѣряю (мѣсяцъ, число, годъ и подпись).

ასეთი მოწმობის მიღება შეიძლება პოლიციისაგან (მამასახლისისაგანაც გამოდგება) და მღვდლისაგან.

◆ **არჩევნების გარშემო.** ქუთაისის გამგეობამ უკვე დაამზადა კონვერტები და სახელობითი განცხადებები და დღეს გადასცემს პოლიციას ამომრჩეველთათვის დასარიგებლად, მაზრაში მცხოვრებ ამომრჩეველთ დაურიგდებათ სამაზრო სამართველოს შემწეობით, ამომრჩევლებმა უნდა ადევნონ თვალ-ყური რომ თავისი კონვერტები და სახელობითი განცხადება თავის დროზე მიიღონ, უამგანცხადებოთ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

◆ კვირას, 16 სექტემბერს მოხდება ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება. კრებაზე გადაწყდება, როდის შეუდგეს გამგეობა მოქმედებას. გამგეობას სახალხო უნივერსიტეტისას განზრახული აქვს პირველად ამ თვეში განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის პატივსაცემი დილა გამართოს.

◆ ხონის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი მამალაძე, რომელიც ჭიათურის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორად გადაიყვანეს, ისევ ხონში დაუნიშნავთ ინსპექტორად.

◆ კვირას, 16 სექტემბერს ქუთაისის თეატრში დანიშნულია გამოსაცდელი წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ის პირნი, ვისაც სურთ სცენაზე მუშაობა. წარმოდგენას დაესწრებიან დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრები, რეჟისორები და პრესის წარმომადგენლები.

◆ ნიკო ნიკოლაძე შესდგომია ფოთში გაზეთის გამოცემის საქმის მოგვარებას. როგორც გავიგეთ გაზეთი რუსულ ენაზე გამოვა და სახელად ერქმევა „Ріонъ“. გაზეთს რედაქტორობას თვით ნიკოლაძე გაუწევს.

◆ შორაპნის მაზრაში მომრიგებელ შუამავლად დანიშნეს შორაპნის პირველ საშუამავლო განყოფილებაში თავადი ნაკაშიძე, მეორეში—ალექსანდრე სიმონის ძე წერეთელი, მესამეში ალექსანდრე ზურაბის ძე წერეთელი, მეოთხეში—ირაკლი წერეთელი. („დილა“)

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მოწამეთის წინამძღვარი არქიმანდრიტი [illegible] თის შუამთის [illegible] და ალავერდის [illegible]

◆ ალისუბნის სამასწავლებლო ორ-კლასიანი სასწავლებლის გადატანა საბოლოოდ გადაწყვეტილია, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით სად იქნება გადატანილი. განზრახვა აქვს საბჭოს ეს სასწავლებელი ონში მოათავსოს. ეს საკითხი ამ დღეებში გადაწყდება. („კოლხ.“)

ჟურნალისტის დღიური

83.

საარჩევნო დისციპლინა.

ქართველისთანა ინდივიდუალისტი ძნელად მოიძებნება ქვეყანაზე. თვითოეულს ქართველთაგანს, თუნდაც ერთი და იგივე რწმენისანიც იყვნენ, მაინც თავისი პირადი აზრი სხვათა აზრზე მეტად მიაჩნია და არც კომპრომისს დასთანხმდება. ზოგიერთს შემთხვევებში ეს ინდივიდუალიზმი იქნება ძალიან კარგიც იყოს, მაგრამ არის საქმეები, სადაც ყველაზე ნაკლებად ამ ინდივიდუალიზმის გამოჩენაა საჭირო. არის საქმეები, სადაც პირადი სიმპატია-ანტიპატია უნდა გულის შორეულ კუნჭულში ჩაიმარხოს და საზოგადო ინტერესს დაემორჩილოს.

ასე უნდა მოხდეს აუცილებლად არჩევნებშიაც. არჩევნები პოლიტიკური სარბიელია: აქ ყველაზე ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს პირად სიმპატია-ანტიპატიას და თვითოეული კანდიდატი დეპუტატისა თუ ამომრჩევლისა უნდა განიზომოს მხოლოდ ერთის თვალსაზრისით: რა პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენს იგი. შეგნებული ამომრჩეველი ვალდებულია დღიურ ჭირ-ვარამის დროს აღმოცენებული უთანხმოება დაივიწყოს და არჩევნებს ცოტა ფართოდ შეხედოს.

იქ, სადაც საარჩევნო დისციპლინა არ არის, გამარჯვების იმედი არავის უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას პროვინციის მცხოვრებლებმა. პროვინციის ამომრჩევლის მოქმედება თავის ნება, დამოუკიდებელი კი არ უნდა იყოს, არამედ იგი უნდა ეთანხმებოდეს სხვა და სხვა კუთხეთა მოქმედებას. პოლიტიკურ ეფექტის მოხდენა მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ქვეყნის სხვა და სხვა ნაწილებს შორის არსებობს შეთანხმებული მოქმედება. პროვინციის ამომრჩევლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ამა თუ იმ კანდიდატის არჩევა დეპუტატად დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება ამომრჩევლად. ამიტომ ამომრჩეველთა არჩევნები უნდა მოჰხდეს არა პირად ნაცნობობა-მეგობრობით, ან პირადი სიმპატია-ანტიპატიის მიხედვით, არამედ იმის დაგვარად, თუ რა პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენს ესა თუ ის ამომრჩეველი, გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს თუ არა.

თუ ყველა ეს კარგად არ გავითვალისწინეთ, არ დავიცავით საარჩევნო დისციპლინა, გამარჯვების იმედი არ უნდა გვქონდეს. **შინაური.**

გოდორნის ტაძრის დღეობა.

(დუშეთის მაზრა.)

არაგვის პირზე მივდიოდით ცხენებით მე და ერთი ტონჩელი გლეხი. ხატობის მეორე დღე იყო, ხალხი ბევრი არა ჩანდა; ახლად შეკეთებული ტაძარი მედიდურად გადმოიცქირებოდა თვალ აუწვდენელ სიმაღლიდან. გლეხმა პირჯვარი გადაიწერა, დიდება შესწირა უფალს, შემდეგ მომიბრუნდა და მკითხა: ბატონო, ნეტა რა ალა ადგათ ამ ეკლესიის ამშენებლებს, რომ ასეთ სიმაღლეზე და მიუვალ ადგილზე აუშენებიათო. აუხსენ ჩვენი ძველებური ცხოვრების სიდუხჭირე და გმირული ცხოვრება და დავითანხმე, რომ ტაძრის აშენება ამისთანა მიუვალ ადგილას სჯობდა.

თვით ტაძართან 8 ენკენისთვეს, დღეობაში იყო ვინმე ევროპაში ნამყოფი და იქაურ საუცხოვო სანახაობის მნახველი, რომელმაც გამიზიარა თავის გულის ნადები და მითხრა: გარწმუნებთ იქ მე ამისთანა დიდებული სანახაობა არ მინახავსო.

მართლაც ღირს კაცი ავიდეს ბოდორნის ტაძრის სანახავად, რომელიც რიყის ქვისაგან არის აშენებული, ვგონებ, მე VII საუკუნეში. მის მიდამოდან მშვენიერი სანახაობა იშლება კაცის თვალწინ. დაბლა მოშხუის და მოცელქობს მრავალ ტო-

ტებად გაფანტული არაგვი. მის ნაპირზე მდგომი კაცი ქონდრის კაცად გეჩვენებათ. ჩრდილოეთით არაგვის ხეობა ბუმბერაზ მწვანე ტყეებით დაფენილ მთებით შემოფარგლული ხელის გულზე გეშლებათ, შორს კავკასიონის ქედი მოსჩანს. გაღმა, აღმოსავლეთით ერწოთიანეთის მთა-ტყეებსა ჰხედავთ, სამხრეთით ზედაძნის მთას, საგურამოს მიდამოს, მცხეთას, ჯვარის მონასტერს და მუხრან-წეროვნის მინდორველების ნაწილს, დასავლეთით ამართულია ქვიშნარი კლდე, რომელიც მეტად ჰხლუდავს ტაძრის გარემოს. ეკლესიის ზემოთ და ქვემოთ აუარებელი შებოლილი გამოქვაბულები მოსჩანს, რომლებიც ხალხის და ბერების საფარი ყოფილა უწინ. მთლად ტაძრის მიდამო და გადასახედი სანახაობა სასიამოვნოა და ბევრ განათლებულ ევროპიელისთვის იშვიათ სანატრელ ადგილად გამოიყურება, მაგრამ ჩვენში დარწმუნებული ვარ, ბევრს არამც თუ არ უნახავს, არც კი გაუგია რომ არსებობს ასეთი ძველის ძველი ტაძარი და ასეთ მომხიბლავ ადგილას.

ბოდორნის ტაძარი პატარა ზომისაა და გარეგნობით მცხეთის ტაძარს მოგაგონებთ. წრეულ შეაკეთეს ეს ეკლესია გარედგან, შიგნით გასამშვენიერებლად ამორჩეული კაცები მლოცველებისგან წიგნით იღებდნენ შემოწირულობას. ტაძრის კარებს ზემოდგან დაუტანებიათ შავი მარმარილოს ქვა, რომელზედაც ამოჭრილია ამ ამორჩეულ კაცების გვარები და სახელები, როგორც ეკლესიის შეკეთებაში მონაწილეებისა. რაღაც მიზეზით დაჰვიწყებიათ მღვდელი იოანნე ტაბლიაშვილი, რომელიც ამ ეკლესიისთვის წიგნით კავკავ-გროზნოში აქუჩებდა ფულს და გადიცვალა ამ საქმეში და საშატუროს ეხლანდელი მღვდელი, ლუკა გედევანიშვილი, რომელიც ამ ტაძრის მღვდლადაც ითვლება. ტაძარი შიგნიდან ჩამონგრეულია და გაულესავი. კანკელი და ტრაპეზი ქვისაა. ტრაპეზს, როგორც შევნიშნე უკან გასავალი არა აქვს, ზედ უკანა კედელზეა მიშენებული. ტრაპეზს წინიდან ერთი საფეხური აქვს ასასვლელი. ქვის კანკელზე გაკრულია ძველებური ხატები, საჭიროა მათი შეკეთება და მომავალ კანკელში ჩართვა. ახალის დახატვა მხოლოდ ზიანს მიაყენებს ამ ტაძრის დიდებას. ვნახე თვით ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც ძვირფას ქვებით არის შემკული, ამ ქვებიდან ყველაზე დიდი ქვა შუბლზე ამოცლილია ბოროტი ხელისაგან. ჩემის აზრით ხატი ძველის-ძველი არ უნდა იყოს და მხატვრობის ტიპი იტალიურია, რადგანაც ღვთის-მშობელი მრგვალი პირისახით და ცხვირით არის გამოხატული; ქართული მხატვრობა ღვთის მშობელს მოგრძო სახით და სწორ ცხვირით ჰხატავს.

დღეობაში მლოცავი ბევრი იყო სხვა წლებთან შედარებით. ხალხი გაფანტული ისხდა კაკლის ჩეროებში, მხიარულობდა და სიამოვნებდა არაგვის ხეობის სანახაობით. მლოცავთა ადგილებია მთების პატარ-პატარა ფერთები და ფერდობები. სივიწროვეა საგრძნობი, ამიტომ ერი ვერ შეიყარა ერთად, ვერც დიდი ლხინი, ვერც თამაში და ჭიდაობა მოხერხდა. რამოდენიმე ოჯახები ერთად ან ცალკ-ცალკე სიამოვნებდნენ და ატარებდნენ დროს. ცხადია ხატს ექნებოდა არაგვის მარივ მინდორი, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო ეს ადგილები ჩარეცხილა, ჩანგრეულა და ეხლა ღელე-კლდეებს-ღა წარმოადგენს.

ტაძარს აქვს მისავალი ბაზალეთიდან, საშაბუროდან, დუშეთიდან და და ჟინვან-ყვავილიდან. გზები შედარებით კარგია; კობიანთ-კარიდან შეიძლება კაცი ეტლით ავიდეს, ურმები ხომ ყოველ მხრიდან უდგება.

ამორჩეულ მზრუნველების („კომიტეტის“, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ) სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ დაიშურეს შრომა და დღეობისთვის მოასწრეს ამ ტაძრის აღდგენა და გამშვენიერება გარედან მაინც. მაგრამ არ შემიძლიან შენიშვნაც არ მივცე, ეკლესიის გუმბათზე სდგომია რკინის კონუსი, რომელშიაც ჯვარი ყოფილა დამაგრებული. ეს კონუსი ეხლა ძირსა გდია და ამის მაგივრად სვეტიცხოვლის მაგვარ გუმბათზე გაუკეთებიათ ბუშტი იმ გვარი, როგორსაც მრავლად შეჰხვდებით მოსკოვის ეკლესიების გუმბათებზე. ცხადია ეს სულ სხვა სტილია და ჩვენებურ ტაძრების გუმბათებს სრულებით არ შეეფერება. თუ კი შეიძლება ამის მოშლა და შუბივით გაკეთება ძაან კარგი იქნება, თორემ მომავალ მკვლევრებს შეცდომაში შეიყვანს ეს ბუშტი და ათქმევინებს სიტყვას მოსკოვის გავლენას ჩვენ ხუროთმოძღვრებაზე.

ეკლესიის წინ ქვითკირის კედელი გაუვლიათ და შიგ ჩაუტანებიათ ქვის ემბაზი. ამ ემბაზის კედელში ჩატანებაც დიდი შეცდომაა; იგი უნდა უსათუოდ გამოიღონ და ეკლესიაში შეინახონ, ან ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცენ.

მგზავრი ლ

სოფ. ზემო-ხანდაკი (ქართლი) და მისი ავ-კარგი.

(დასასრული *)

ცრუმორწმუნოება ერთი მთავარი სენია მეთქი ჩვენი სოფლისა, მოგახსენეთ გუშინ. ერთ ჭირს კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ არ იყოს კიდევ სხვა, ბნელი მხარეები, რომელნიც გლეხკაცს გასაქანს არ აძლევენ და დღე-დღეობით უკან-უკან მიდის მისი კეთილდღეობა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ავიღოთ მაგალ. დღეობები. განა დღეობა ცოტა ზარალს აძლევს სოფელს? განა ერთი ორად არ გაუმჯობესდებოდა გლეხის ყოფა-ცხოვრება, დღეობაში დახარჯული ფული რომ გამოელო რაიმე საკეთილო საქმისთვის, აი თუნდ სკოლისთვის, სამკითხველოსთვის, საავადმყოფოსთვის? აქაც იცის დღეობა, ეგრედწოდებული „კალოზნობა“. იქნება გეინტერესებოდეთ რად უწოდებიათ ეს სახელი? სოფლის თავში, გორაკზე კიდევა ჰნახავთ ძველის ძველ პატარა ეკლესიას. ხალხის თქმულებით, როდესაც თათრები შემოესივნენ ჩვენს უბედურ ქვეყანას, აქ, კალოზე, შეაგროვეს ბავშვები შეაბეს ზედ კევრები და სპარსელონი ისე ჰლეწესო. ამ საშინელების სახსოვრად აქ ეკლესია აუგიათ და დღესასწაულიც დაუწესებიათ აღდგომის თვის თავზე. ერობა დიდი იცის, ხალხი ბლომად იკრიბება ახლო-მახლო სოფლებიდან, მოდიან ტფილისიდანაც. გასაჭირში ვარდება გლეხკაცი, მერე სწორედ იმ დროს მოდის დღეობა, როცა ბეღელი გაფხეკილია, გაზაფხულზე და გლეხი იძულებული ხდება, რომ მამა-პაპურ ჩვეულებას არ უღალატოს ფული ივალოს, ან ჩარჩს დაუკვეთოს მოსავალი ჩალის ფასად. დიდი ხანია ზოგიერთმა სოფლელებმა შეიგნეს ასეთი დღეობების მავნებლობა და გონივრულ საშუალებასაც მიჰმართეს—მოსპეს ქეიფი, ქუდის ჭერში კვრა. იმ ფულიდან, რომელიც ამ დღეს უნდა დაეხარჯათ, ნაწილს გამოიღებენ სასოფლოდ და რაიმე სასარგებლო საქმეს ახმარებენ, მაგალ. სკოლას, სამკითხველოს, ან იძენენ რაიმე სამეურნეო იარაღს. ამგვარად თავიანთ ჯიბესაც უფრთხილდებიან და საშვილიშვილო საქმესაც ხელს უწყობენ. მეტყვიან—ნათესავები ნათლიები დაგვემდურებიანო. დეე დაგვემდურონ, ამისთანა დამდურებას ფასი არ ექნება. პირიქით, იქნება ეს საკეთილოც იყვეს მათთვის—ისინიც ხომ თქვენს ტაფაში იწვიან? იმათაც ხომ აქვთ დღეობები? თქვენი წაბაძვით იქნება იმათაც უარჰყონ ეს მავნე ჩვეულება და ჩვენი ცხოვრებაც უფრო წინ წავიდეს, გაუმჯობესდეს. მაშ ასე, უარვყოთ დღეობა, ქეიფი, ნუ ჩავვარდებით ვალებში, ნუ დავიდებთ ცოლ-შვილის ცოდვას. თუ გინდათ ჩვენ ჩვენი წვლილი გამოვიღოთ ამ დღეს, შევაერთოთ და რაიმე სასოფლო საქმეს მოვახმაროთ, ხომ ჯერ ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვაკლია? მაგალ. არა გვაქვს სამკითხველო, სადაც შეგვეძლებოდეს თავისუფალ დროს წავიკითხოთ ჟურნალ-გაზეთები, გავეცნოთ ქვეყნის ამბებს, წიგნებიდან ამოვიკითხოთ ჩვენი მეურნეობისათვის საჭირო ცნობანი, არა გვაქვს საკრედიტო რამ დაწესებულება, რომელიც მოგვცემს საშუალებას თავი დავახწიოთ ჩარჩვაჭრებს, რომელნიც ჩვენს ქონებას დაჰპატრონებიან და როგორცა ჰსურთ ისე ატრიალებენ ჩვენს ჯიბეში ხელებს, ცოლშვილი გვიწყდება სხვა და სხვა სენისაგან უწამლობით. რავიცი რამდენი რამ ჩამოვთვალო, რამდენი რამ საჭიროა ჩვენთვის და ჩვენ კი არა გვაქვს. უნდა კი გავიკეთოთ, შევიძინოთ როგორმე. როდემდის უნდა ვიყვნეთ ასე დაბეჩავებულნი, როდემდის უნდა შევყუროთ მაღლა—აცა ღმერთი მზამზარეულ ხაჭაპურებს ჩამოჰყრისო? და როგორ გავაკეთებთ რამეს, თუ უაზრო ქეიფით, დღეობებით ვალებში ჩავიხრჩობით? აბა კარგად დაუკვირდით ჩემს სიტყვებს და ისე მომეცით პასუხი.

⁂

სოფელს დიდს დაღს ასვამს უექიმობაც. ეს არის უფრო იმის მიზეზი, რომ გლეხი ექიმბაშ-მკითხავების ბადეშია გაბმული. ავად რომ გაუხდეთ ვინმე, ექიმი სოფ. ახალქალაქიდან უნდა გადმოიყვანონ. ეს კი დიდს ხარჯს იწვევს. ეტლი ღირს ორი მანეთი, ექიმის გასამრჯელოც ორი-სამი მანეთი, (მერმე ერთხელ ხომ არ მოიყვან ექიმს) ახლა წამლობა და გლეხის ჯიბეს მეტი შეუძლიან? ხშირად ავადმყოფი თვითონ მიჰყავთ ახალქალაქს ურმით. სიცხე-პაპანაქებაში ან სიცივეში. მას უარესი ემართება. აგერ შარშან შემოდგომაზე რა საცოდავობა დატრიალდა—ავადმყოფი ს. გოგიაშვილი ექიმს გადაუყვანეს და უკან მკვდარი გადმოიტანეს, გზაში მეტის ტანჯვისაგან გარდაცვლილიყო. რა იქნება თვეში ერთხელ მაინც შემოიაროს ექიმმა, დაათვალიეროს ხალხი, მისცეს დარიგებანი და სხვ.?

ჩარჩ-ვაჭრების ბედნიერებას არც ეს სოფელია მოკლებული. ან რად იქნება მოკლებული—სოფელი უძალლოა და ამისთანა ალაგას ხომ ყოველი ვიგინდარა უჯოხოდ დაბრძანდება. ეშმაკები კი არიან ე ჩარჩები! რომ უფრო მარჯვედა სცქლიფონ ხალხი, მოდიან, ნათლიებად ეკიდებიან გლეხებს, შინაური კაცები ხდებიან. ჩვენი გლეხი ნათლიას მრუდე განზრახვას აბა როგორ დასწამებს ეს მელა-ნათლიებიც სწიწკნიან გულუბრყვილო ნათლიდედ-ნათლიამამებს და მათ საშუალებით მთელს სოფელსაც. რა იხსნის ამათ კლანჭებიდან სოფელს? რასაკვირველია წვრილ კრედიტის ამხანაგობა და ამის დაარსებასაც უნდა ეცადნენ სოფლის გულშემატკივარნი.

ადგილობრივი მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას, მევენახეობას, მეხილეობას, უფრო კი ხე-ტყის ვაჭრობას, მიდიან ახალციხე-ბორჯომისკენ, ბლომად ეზიდებიან ხე-ტყეს ტფილისის ბაზრისკენ და კარგადაც ვაჭრობენ. მდებარეობა სოფელს აქვს რიგიანი, წყალი უხვი, ერთი სიტყვით პირობები ხელშემწყობა. იგი მალე აიწევს ქონებრივად, აყვავდება საკულტურო დაწესებულებებით, წინ წავა, თუ ორიოდ მარჯვე, ფხიზელი, შეგნებული გულშემატკივარი ეყოლება.

სანგანიძე.

მოწერილი ამბები

ჭიათურა. სასულიერო მთავრობამ ჭიათურაში ნება დართო ჭიათურის ორკლასიანი სკოლის გამგეს მღვდელს მ. ბესარიონ ვაშაძეს, რომ ეს სამრევლო სკოლა ეკლესიად გადააკეთოს და ეკლესიისათვის შესაფერი შენობა სკოლის ეზოშივე ააშენოს. ადგილი დაათვალიერა ინჟენერმა საბაროვმა, რომელიც ქუთაისიდან მოიწვიეს, და საუკეთესოდ სცნო. კომიტეტიც შესდგა, ეკლესიის გეგმაც აიღეს და მის შეფასებას იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის წარუდგინეს დასამტკიცებლად. გეგმის დამტკიცების შემდეგ, ეკლესიის შენობასაც დაიწყებენ. კომიტეტი ფულის შეგროვებას კიდეც შეუდგა. საზოგადოება ამ საქმეს სიამოვნებით ეგებება. დღევანდლამდე წირვა-ლოცვა სწარმოებდა საქალაქო სკოლის შენობაში და ეხლა აკრძალეს, უკურთხებელ სახლში. საჭიროა ეკლესია დროზედ აშენდეს. იმედი გვაქვს კომიტეტი მალე შეასრულებს ამ საქმეს, რადგანაც ამ საქმეში, სხვათა შორის, სათავეში უდგას დეკანოზ იოანე აბაშიძის შვილი, ყველასაგან ცნობილი ქველმოქმედი დიმიტრი აბაშიძე, რომელიც მთელ თავისს ეკონომიურ ძალას ეკლესიასა და სკოლებს ახმარებს. ამას წინად ბატონმა აბაშიძემ საჩხერის ორკლასიან სკოლას თავისი ხარჯით აუშენა მშვენიერი შენობა 4—5 ათას მანეთად ღირებული. ასეთი დიდი შეწირულება მეტად საყურადღებო და სასიქადულოა ჩვენს დროში, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ბატონი დიმიტრი აბაშიძე.

ჭიათურიდან შავი ქვის გადაზიდვამ ძალიან იმატა, მაგრამ ადგილობრივ მადნებში კი წარმოება და მუშაობა მეტად ნაკლებია. მუშა ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილი;

სიმინდისა და ღვინის მოსავალმაც უღალატა მცხოვრებლებს.

ბოლო დროს ჭიათურაში ქურდობაც გახშირდა, ღამე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე ოჯახი და დუქანი არ გაძარცონ.

მთიული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

13 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

კოპენ-ჰაგენი. რუსეთის ესკადრა მოვიდა.

ცხოვრების სიძვირე.

ბერლინი. სოციალ-დემოკრატების ქალთა კრება მოხდა. განიხილეს საკითხი ცხოვრების სიძვირისა. ღარიბ ხალხის ცხოვრება აუტანელია. ბავშვთა სიკვდილის პროცენტი იზრდება. კრებამ დაადგინა მოითხოვოს, რომ ხორცი და სანოვაგე უბაჟოდ შემოჰქონდეთ.

ვაშინგტონი. სან-დომინგოში გაიგზავნა შვიდას ორმოც და ათი მეზღვაური.

სერბია.

ბელგრადი. სერბიის საზღვრის ყარაულმა შეიპყრო ავსტრიელი ოფიცერი და ექვსი ჯარის კაცი. შეპყრობილნი ბელგრადში გაგზავნეს.

ვენა. ბერჰტოლდის სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პრესაზე და სახელმწიფო მოღვაწეებზე. აღნიშნავენ მის გულწრფელობას და სერიოზულ კილოს.

სამხედრო კომისიამ დაამტკიცა სამხედრო ხარჯთაღრიცხვა. თათბირის დროს უმეტესობამ გამოსთქვა სურვილი ფლოტის გაძლიერებისა, რათა ავსტრია-ჰუნგრეთი თანასწორ უფლებიანი იყოს ხმელთა-შუაზღვაზე სხვა სახელმწიფოებთან. ჰუნგრეთის დელეგაციამ მიიღო ხარჯთაღრიცხვა გარეშე საქმეთა სამინისტროსი.

პარიზი. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ელისეის სასახლეში პრეზიდენტთან სადარბაზოდ იყო. ბაასმა გასტანა ჩარექ საათს. პრეზიდენტიც მალე ეწვევა სადარბაზოდ.

ოსმალეთი.

სტამბოლი. ადრიანოპოლის ოლქში საიდუმლოდ ჯარის თავმოყრას შეუდგნენ.

ქოი. ოსმალეთის ელჩი უკან დაიბარეს.

ურმია. გაგზავნილი ოსმალეთის ჯარი დიზაში ქურთების დასასჯელად უკანვე ბრუნდებიან.

რომი. „პოპულო რომანოს,“ ცნობებით სამხედრო უწყებას ომის დროს ოთხას სამი მილიონი დაუხარჯავს.

საერთაშორისო კონგრესი.

ბოსტონი. გაიხსნა მეხუთე საერთაშორისო კონგრესი მრეწველთა პალატისა. ორმოცდა ოთხი სახელმწიფო იღებს მონაწილეობას, მათ შორის რუსეთიც.

სპარსეთის ამბავი.

ლონდონი. საბუთს მოკლებულია ხმები, ვითომ გრეისა და საზონოვის მოლაპარაკება სპარსეთის დანაწილებას გამოიწვევდეს.

თავრიზი. თავრიზის მცხოვრებლები რუსეთის მთავარ საკონსულოს სთხოვენ მაჰმად-ალი შაჰის დაბრუნებას, თხოვნით მიჰმართეს ხელმწიფე იმპერატორს, ინგლისის მეფეს და სპარსეთის მინისტრთა კაბინეთს. თავრიზის მცხოვრებნი დიდ იმედებს ამყარებენ მაჰმედ-ალი შაჰზე.

გაფიცვა რკინის გზაზე.

ბარსელონი. კატალონიაში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვაა. მიმოსვლა შეწყვეტილია. ადმინისტრაცია სცდილობს საპიორების დახმარებით მუშაობა განაახლოს.

რუმინია

ბუქარესტი. განუწყვეტელი წვიმებია. სხვა და სხვა ალაგას წყალდიდობაა.

მონღოლების დახოცვა.

ციციკარი. ჩინეთის ჯარის უფროსი იუწყება: მონღოლებთან შეტაკების დროს ტუშეგუნის სამთავროში, მოკლულ იქმნა სამასი მონღოლი, ტყვედ წაიყვანეს სამოცდა ათი არაბი.

რუსეთი

კრემენჩუგი. სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად არჩეულია მეტყევე ზალკინდი.

პოლტავა. ბულგარელები და სერბიელები, რომელნიც პლანტაციებზე მუშაობენ, ბელგრადში და სოფიაში დაიბარეს.

დონის-როსტოვი. პარამანოვის მაგივრად, რომელმაც უარი განაცხადა სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლობაზე მრეწველთაგან არჩეულია ფულდმანი, ვაჭართაგან კი—დიამანტიდი.

იარაღის დაჭერა.

ხარბინი. პოლიციამ შეიპყრო იარაღის ტრანსპორტი, რომელსაც იცავდა ჩინელი ჯარის კაცები. იარაღი საარტილერიო საწყობში გაგზავნეს.

პეტერბურგი. განათლების სამინისტრომ აუწყა ოლქის მზრუნველებს, რათა სათანადო განკარგულება დაგზანონ უმაღლეს სასწავლებლებში, სამხედრო სამსახურის ასრულების თაობაზე, რომ ვადის გადადება ვისაც ჰსურს, უნდა აუწყოს არა უგვიანეს პირველ დეკემბრისა.

ხერსონი. სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობამ აირჩია მინსკის გუბერნატორი ერდელი.

ჰელსინგფორსი. ფინლანდიის სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი ვიბორგის გოფგერიჰტისა ვიბორგის გუბერნატორზე. გოფგერიჰტი უჩიოდა გუბერნატორს უკანონობას, რადგან უკანასკნელმა არ განთავისუფლა ციხიდან ლაგერკრანცი.

უცხოეთი

ოსმალეთ-იტალიის ომი.

უნაყოფოდ გაჭიანურებულს, ოსმალეთ-იტალიის ომს დასასრული არ უჩანს. თუმცა ორივე მეომარი მხარე ძლიერ მოწადინებულია მშვიდობიანობის ჩამოგდებას, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთს ვერ მოუნახავს ისეთი ნიადაგი, რომელზედაც შეთანხმდებოდეს მოპირდაპირეთა ინტერესები. ამიტომ ზედმეტი არ იქნება, გავითვალისწინოთ ის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც, აგერ რვა თვეა, არა ოფიციალური მოლაპარაკება სწარმოებს შვეიცარიის ერთს პატარა ქალაქში.

ზავის შესახებ ლაპარაკი 1912 წლის 27 იანვრიდან იწყება, როცა რუსეთმა პირველად მიმართა მეომარ მხარეებს. რუსეთის დიპლომატიური ნაბიჯის მიზანი იყო, გამოერკვია ის პირობები, რომელზედაც შეიძლებოდა მოლაპარაკების გამართვა. რუსეთის მიმართვაზე გაცემული პასუხი მეტად უიმედო იყო. იტალიამ გადაჭრით განაცხადა, რომ იგი ერთ სიტყვასაც არ შესცვლის 1911 წლის 5 ნოემბრ. ნოტაში, რომლითაც იგი ლიბიის ანექსიის ამბავს ატყობინებდა დიდ სახელმწიფოებს. ერთადერთი რამე რასაც იტალია სთანხმდებოდა, ის ფორმულა იყო, რომელიც ბოსნიის ანექსიის დროს ავსტრიამ იხმარა; ამასთანავე იტალია ფულით საზღაურს ჰპირდებოდა ოსმალეთს. ამ უკანასკნელმა კი, ჯერ ოფიციალური ცნობაც კი არ ჰქონდა მიღებული, რომ თავის ელჩებს აცნობა: იტალიის პირობების მიღება ყოვლად შეუძლებელიაო. როცა რუსეთის ინიციატივა გაცუდდა, იმედი ჰქონდათ იმპერ. ვილჰელმისა და ვიქტორ-ემანუელის შეხვედრისა, რომელიც მარტში მოხდა ვენეციაში, მაგრამ ვერც ამან შესცვალა გარემოება. აპრილში რუსეთმა კვლავ გადასდგა უწინდებური ნაბიჯი, მაგრამ გარეშე საქმეთა მინისტრმა აზიმ-ბეიმ უპასუხა, რომ ვერც ერთი სამინისტრო ვერ იდებს თავს ტრიპოლის ანექსიის დადასტურებასო. ამის პასუხად იტალიამ დარდანელის დემონსტრაცია მოახდინა. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც იტალიის ფლოტმა ეგის ზღვის რამდენიმე კუნძული აიღო.

ხმელთა-შუა ზღვის სახელმწიფოები—ინგლისი და, განსაკუთრებით კი, ავსტრია გულგრილად ვერ შეხედავდნენ იტალიის მიერ კუნძულების დაპყრობას. გარდა იმისა, რომ ამ კუნძულების ბერძენთა შორის თავი იჩინა დამოუკიდებლობის მიდრეკილებამ, თვით კუნძულთა სტრატეგიულ მდებარეობას უნდა დაეფიქრებინა დიდი სახელმწიფოები. ამიტომ ლონდონში სიხარულით მიეგებნენ საერთა შორისო კონგრესის მოწვევის იდეას, როგორიც ოდესმე ბერლინში მოხდა. იტალიამ განაცხადა, მხოლოდ იმ პირობით მივიღებ კონგრესში მონაწილეობას, თუ ტრიპოლის ანექსიის საკითხი ადრევე გადაწყდებაო. ოსმალეთმა კი შიში გამოსთქვა, ვაი თუ სხვა სახელმწიფოებმაც ისარგებლონ მომენტით და კიდევ უფრო გაართულონ კონგრესის ისედაც რთული პროგრამაო. მას სახეში ჰქონდა რუსეთი და დარდანელის გახსნის საკითხი. თუმცა რუსეთმა დაამშვიდა ოსმალეთი, რომ არავითარ რთულ საკითხს არ დავაყენებთო, მაგრამ კონგრესის იდეა მაინც უშედეგოდ მიჩუმდა.

ამასობაში არც იტალია და არც ოსმალეთი არ ჰფარავდნენ, რომ ზავის ჩამოგდება ორივეს თანაბრად ენატრებოდა. მაისის გასულს, მინისტრ-პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულს, ერთ-ერთ [illegible] სჩანდა ს[illegible] ანექსიის დეკრეტის შეცვლის შესახებ. მაშინ [illegible] გამოჩნდა ზავის შუამავალი, სალონიკელი ვექილი მოდიანო, ჩამომავლობით იტალიელი, რომელსაც კარგად იცნობდნენ სტამბოლში. მოდიანომ მოიარა რომი, ინახულა პარიზის ელჩი ტიტონი და ისეთი აზრი გამოიტანა, რომ იტალია უარს არ იყო მოლაპარაკების დაწყებაზე. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა საიდ-ფაშამ, რაკი ეს შეიტყო, დაუწყო ძებნა ნახევრად ოფიციალურ წარმომადგენელს და იპოვა კიდეც იგი—ეს იყო ოსმალეთის ელჩი ათინაში, ნაბი-ბეი. ამ დროეს დაეცა საიდ-ფაშის კაბინეთი და ოსმალეთის მდგომარეობაც შეიცვალა. უპარტიო ნაბი-ბეის მიუმატეს ცეტინიეში მყოფი ელჩი ფაჰრედინ-ბეი, რომლებიც საიდუმლოდ წავიდნენ შვეიცარიას ივლისის შუა რიცხვებში. მათ შეუერთდნენ იტალიის წარმომადგენლები ფუზინატო, ვოლპი და დეპუტატი ბერტოლინი. ივლისიდან აგვისტომდე მოლაპარაკება ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ოსმალეთის რწმუნებულებმა გარეშე საქმეთა მინისტრის ნორადუნგიანისაგან 4 პროექტი მიიღეს. პირველი ორი, რომელიც ტრიპოლის ანექსიის მოთხოვნას უარჰყოფდა, იტალიელებმა მაშინვე დაიწუნეს. შინაგანი მდგომარეობისა და ბულგარეთის საფრთხის მიზეზით ოსმალეთმა მეოთხე პროექტი წამოაყენა, რომელიც შემდეგ მუხლებს შეიცავს:

1) ოსმალეთი აღიარებს „მომხდარ ფაქტს“ იმდენად, რამდენადაც იტალია არ ეცდება ფორმალურად ანექსიის გამოცხადებას; ლიბიის მდგომარეობა დაემსგავსება ტუნისისა ან ეგვიპტისას, რომელთა ჩამოშორებას დღესაც არ სცნობს ოსმალეთი.

2) ოსმალეთს გამოჰყავს ჯარი ტრიპოლიდან, მაგრამ თხოულობს, მისცეს მას ერთი ნავთსადგური ლიბიაში, ტუნისისა ან ეგვიპტეს ნაპირზე.

3) სულთანს ეძლევა საშუალება სულიერი კავშირის დაჭერისა ტრიპოლის მაჰმადიან მცხოვრებლებთან.

4) იტალია ფულით დააჯილდოებს არაბთა შეიხებს, ვითომც სარწმუნოებისა და ქველმოქმედების საქმეთა მიზნისთვის.

5) იტალია უთმობს ოსმალეთს მეწამული ზღვის ნაპირებზე განსაზღვრულ ტერიტორიას ტრიპოლისში დანაკლისის საზღაურად.

6) იტალია თავის თავზე ღებულობს სახელმწიფო ვალის იმ ნაწილს, რომელიც ლიბიას ერგება გადასახდელად.

არქიპელაგის კუნძულების შესახებ პროექტი არაფერს ამბობს, რადგანაც ორივე მხარე თითქოს უხმოდ შეთანხმდა, რომ იტალია კუნძულებიდან ჯარს გამოიყვანს და მათი ბედის გადაწყვეტას დიდ სახელმწიფოებს მიანდობს. მოლაპარაკებას ახალი ხანა დაუდგა მას შემდეგ, რაც თათბირის ადგილს, Ouchy-ში მივიდა ფრანგი ფინანსისტი და ოსმალეთს 600 მილ. ფრანკის სესხის მიცემა აღუთქვა. იტალია თითქოს მეხუთე მუხლის მიღებას უარობს და ამის შესახებ სწარმოებს დღეს მოლაპარაკება რომსა, პარიზსა და სტამბოლს შუა.

სომეხთა აკლება ოსმალეთში.

სომეხთა პატრიარქი არშარუნი, სომეხთა დევნის გამო მოსალაპარაკებლად ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან დანიშ-ბეისთან იყო. არშარუნი სომხების აწიოკებას მხოლოდ ქურთებს აბრალებს. მინისტრი არ ეთანხმება პატრიარქს, და მომხდარ უბედურების მიზეზად თვითონ სომხებსვე მიაჩნია. არშარუნი ითხოვს ოსმალეთის მთავრობისაგან სასტიკ ზომების მიღებას სომეხთა ხოცვა-ჟლეტის მოსასპობად, თორემ მეტად სამწუხარო ამბავი მოხდებაო.

მინისტრი უკმეხად მოექცა არშარუნს, რომელმაც უპასუხა: თუ სომეხთა მშვიდობიანი მცხოვრებნი უზრუნველყოფილ არ იქნებიან აწიოკებისაგან თანამდებობიდან გადავდგებიო. ამის შემდეგ საჩქაროდ მოიწვია ეროვნული კრება, რომელიც იშვიათ შემთხვევაში იკრიბება ხოლმე. კრებამ დაადგინა, რომ სომეხთა საქმეში როგორმე ჩაითრიონ ევროპის სახელმწიფოები და დახმარება სთხოვონ.

სომეხთა მოსისხლე მტერი არის განთქმული ქურთი მუსა-ბეი, რომელიც მათს ხოცვა-ჟლეტას ჰმეთაურობს. ფრიად საგულისხმოა მიზეზი მუსა-ბეის სიმძულვარისა სომხებისად-

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 69.

მი: მუსა-ბეის შეჰყვარებია სომხის მომხიბლავი, ლამაზი ქალი. მაგრამ მის დასაკუთრებას ვერ ეღირსა, სომხებმა ხელი შეუშალეს.

აქედან იწყება შუღლი მუსა-ბეისა და სომეხთა შორის. მის მეთაურობით ბევრჯელ მომხდარა სომეხთა ქლეტა. სომხების რაოდენობა ოსმალეთში ფრიად შემცირდა. სომეხი მწერალი აჰარონიანი, საზღვარ-გარედ აგიტაციას ეწევა, რათა იხსნას სომხები ამ განსაცდელიდან.

თეატრი და ხელოვნება

„ქართულ დრამატიულ დასის ამხანაგობა „მოგზაური“ ბათომში სეზონს იწყებს 15 სექტემბერს ლ. ანდრეევის „გაუდეამუსით“.

ქართული თეატრი. კვირას, 16 ენკენისთვეს, გაიხსნება ქართულ წარმოდგენების სეზონი ტრადიციულის სამშობლოთი. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი, რომელშიაც შედიან: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, ჩერქეზიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი და ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი და შალიკაშვილი.

„სამშობლო“-ს შემდეგ ამზადებენ მრავალ ახალ, ორიგინალურსა და ნათარგმნ პიესას. მზადდება, მაგალითად, „მთის ზღაპარი“, „ევგინე“, „ანტიგონე“, „ციცინათელა“, „ოჯახის ბურჯი“, „სამ დედის შვილი“, „გადაჭრილი მუხა“ და სხვ.

სახალხო სახლი. შაბათს, 15 ენკენისთვეს, ქ-ნ ეფ. მესხისა და ბ-ნ ალ. იმედაშვილის მონაწილეობით ქართულ სახალხო წარმოდგენების მართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „წითელი მანტია“, დრამა ბრიესი, თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ა. კახელი, ეფ. მესხი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბ. ტანელი; ბ-ნნი გ. ანაშვილი, არშაკუნი, მ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, ალ. იმედაშვილი, ვ. იაშვილი, ალ. მეტრეველი, ალ. ნარი; ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, ალ. შანშიევი, ნ. ჰანკვატაძე, მ. ქიაურელი.

სახაზინო თეატრი. სახაზინო თეატრში სეზონი დაიწყება 15 ენკენისთვეს. წარმოადგენენ „ჟიზნ ზა ცარია“-ს. 16 ენკენისთვეს წარმოდგენილი იქნება „დემონი“. „დემონისთვის“ იხატება ახალი დეკორაციები, დადგმულიც სხვანაირად იქნება, არა ისე, როგორც ჩვეულებრივად სდგამდნენ ხოლმე. 17 ენკენისთვეს წარმოადგენენ ვერდის ოპერას „აიდა“-ს, 18 ენკენისთვეს „ტრავიატა“-ს, რომელშიაც ალფრედის როლს შეასრულებს ბ-ნი ივ. სარაჯიშვილი.

სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასის წარმოდგენები დაიწყება ღვინობისთვის 18-ს არტისტიულ თეატრში. რეპერტუარში შედის რამდენიმე ახალი ორიგინალური პიესა, სხვათა შორის, ბ. ლევონ ქალანთარის ორიგინალური პიესა, „მძიმე სიზმარი“, 4 მოქმედებად. პიესის შინაარსი აღებულია თანამედროვე სომეხ ინტელიგენციის ცხოვრებიდან. პიესას დასდგამენ ღვინობისთვის 22.

წვრილი ამბები.

ებრაელთა რიცხვი.

უკანასკნელ სასტატისტიკო ცნობებით გამოირკვა, რომ ებრაელთა რიცხვი მთელ დედამიწის ზურგზე უდრის თერთმეტ მილიონს, ოთხას ოთხმოც-და სამი ათას რვაას სამოც და თექვმეტს. ამათში რვა მილიონი, რვაას სამოცდა თექვსმეტი ათას, ორას ოთხმოცდა ცხრამეტი ევროპის მცხოვრებია, ამერიკისა-- ერთი მილიონი, რვაას ოთხმოცი ათას ხუთას სამოცდა ცხრამეტი. ცალკე სახელმწიფოებში ყველაზე მეტი რიცხვი ებრაელ ქვეშევრდომთა—რუსეთშია. (ექვსი მილიონი, ორას თხუთმეტი ათას რვაას ხუთი), შემდეგ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში (ერთი მილიონ რვაასი ათასი). სამართლიანად შეიძლება იწოდებოდეს ნიუორკი მეორე იერუსალიმად, რადგან იქ ცხრაას ათასი ებრაელი სცხოვრობს.

უკანასკნელი მოდა.

ამერიკაში, თურმე არ მოიძებნება ისეთი მოსამსახურე, რომელიც ცოტად თუ ბევრად ზრუნავდეს ბატონის ინტერესისთვის: მზარეულნი სრულიად დაუდევრად ჰფანტავენ ბატონის ფულს სანოვაგის სყიდვის დროსა. ამის გამო გამოჩენილმა ქველმოქმედმა, მილიონერის ცოლმა ქალმა ბელ მონმა შემოიღო ახალი მოდა: მისი აზრით, უზნეობაა ამისთანა მოსამსახურეთა ყოლა, და მდიდარი ამერიკელი ქალები დილაობით თვითონ მიდიან სანოვაგის სავაჭროდ. გაზეთების ცნობებით ნიუპორტში დილაობით საინტერესო სპორტი იმართება. ქალები, მოარშიყეთა თანხლებით, კოხტად გამოწყობილნი, ყიდულობენ სანოვაგეს და იმის ცდაში არიან, იყიდონ კარგი სანოვაგე და იაფადაც დაუჯდეთ. ამის შედეგი ჯერ უარყოფითია: სანოვაგე უფრო დაძვირდა, და ავტომობილის პატრონები კი გამდიდრებულან.

ორასი წელი ქოლგის გამოგონების დროიდან.

სრულიად უმნიშვნელოდ ჩაიარა ორასმა წელმა მას შემდეგ, რაც დაიბადა ჯონ ხენვეი, გამომგონი ფრიად სასარგებლო ნივთისა—ქოლგისა. პირველად ჯონ-ხენვეიმ გაბედა ქოლგით ხელში გავლა ლონდონის ქუჩაში. ეს მოხდა ათას შვიდას ორმოცდა თექვსმეტს წელსა. იწონიდა პირველი ქოლგა თერთმეტ გირვანქას. ქოლგის პრწკალები დიდი თევზების ძვლები იყო, რომელზედაც გადაფარებული იყო მატერია.

ხალხმა სიცილი დააყარა და შეურაცყოფა მიაყენა ჯონ-ხენვეის, მაგრამ იგი სრულიად დამშვიდებული და კმაყოფილი იყო თვისი გამოგონებისა, ლონდონის ქუჩებში არხეინად დასეირნობდა.

**რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **სააგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 ს. 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: **სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 2 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა

კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის;

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ — 11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. აველტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**
(წ. 1078.215)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი)
გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
(23.651.9)

გაილო სასტუმრო

„ლასკუტ“

ბარონის ქ., სახ. ბანკის გვერდით № 14.

სრულიად ახლად გადაკეთებული ავეჯეულობა. სისუფთავე და ზრდილობიანი მოსამსახურე. ოთახები დღიურად და თვიურად. დღე-ღამეში 60 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, თვიურად 10 მ—დან 50 მ—მდე. ოჯახობისათვის მოსახერხებელია. განათება ელექტრონისა.
სახ. „ფრანციის“ ყოფ. პატრ. **გეგიაძე.**
(3 671.2)

სუსუნაკის წინააღმდეგ ახალი
წამალი
„SALO—პირილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილია მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საათფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
(წ.1161.22)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აუწყებს სამიკიტნოების პატრონთ,

რომ მათი კრება ქალაქის სასარგებლოდ ხარჯის გამწერავ კომისიის ასარჩევად დანიშნულია ქალაქის ბირჟის დარბაზში ვერის მოედანზე: დუქნებისა, სამიკიტნოებსა და რენსკის სარდაფებისა პატრონთა—პარასკევს, 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ღვინის სარდაფების-პატრონთა - შაბათს, 15 სექტემბერს, დილის 10 საათზე; რესტორანებისა, ბუფეტებისა, სასტუმროებისა და ლუდხანების პატრონთა—კვირას—16 სექტემბერს დილის 10 საათზე; ცხელ საჭმელებიან სახაიეთა, მოწყობილ ნომრებისა, საკანდიტროებისა, სანოვაგის დუქნებისა ყავახანებისა და ბაკების პატრონთა—ორშაბათს—17 სექტემბერს დილის 10 საათზე. უკეთუ აღნიშნულ დღეებში სავაჭროთა პატრონნი არ გამოცხადდებიან, მაშინ სამიკიტნოთა წარმოების დებულებათა მე-43 მუხლის ძალით ხარჯს თვითონ ქალაქის გამგეობა გააწერს.
(2. 1503.1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „

მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ქიქ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი . . .	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ, 1141.122)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.36)

არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.

ვგზავნით აქ ჩამოთვლილ ძვირფას 14 ნივთს: მშვენიერ მკვიდრ უბის საათს კაცთათვის - „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-ფოლადისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალო აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთ. საუცხოვო ყელის მეწკვი. ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი - კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამში ბუდე საათისათვის. 5. მოზდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის ქვ თ. 6. სათეატრო ბინოკლი 4 ახრომტიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან აახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმ ოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9—14 ექვსი მეტის-მეტად საგულისხმო სურათი. სულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება—10 მ. 50 კ. ესენივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს**. ხსენებული წყება საათითა და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა -3 მ 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. იგივე ნივთები მხოლოდ ქალის საათით 3 მ. და 70 კ., იგივე ნივთები მხოლოდ საათები 3 სახურავით 1 მანეთით მეტი გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ. (ციმბირში 75 კ.) საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ. მისამართი

Т-во „ЗАРЯ“ ВАРШАВА, ОТД. 116.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.
Метцль. 44387. (2.1460.2)

ე. ა ცატუროვის
დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალი სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ.—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—21)

შპალიერი

მივიღეთ მარიამობისთვის

შვედური და დელიკატესნი კილკები.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძევველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბოჭკის საუკეთესო

ხიზილალა,

გირვანქა 1 მ. 60 კ.

აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო**

და კობრი, |საზანი.|

(წ.1131.253)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბანტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—104 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“